


სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 7. თებერვალი 5 1895 წ. № 7.

შინაარსი: კავკასიის სამეურნეო საზოგადოება გ. წერეთლისა.—სხვა-და-სხვა ამბები.—საყურადღებო ამბები. პანორამა, ლექსი აკაკისა.— „ივერიის“ პოლიტიკანობა და ქართულის გაუგებრობა,—პარიჟი საზღვარ-გარეთლისა.—ჩვენი სახლობა მაზაკვალისა. პარტახი ეგ. ნინოშვილისა.— დაგვიანებული პასუხი ნიკო მუხიანელისა.—თეატრის განცხადება.

4784

## კავკასიის სამეურნეო საზოგადოება.

იანვრის 31 შედგა სხდომა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა. ამ სხდომაზე იყო განხილული სამეურნეო სამინისტროსაგან გამოგზავნილი საკითხები. რა მდგომარეობაშია ამ ჟამად კავკასიის აბრეშუმისა და ბამბის მოყვანა, ან რა ღონისძიება უნდა იხმაროს სამინისტრომ, რომ აბრეშუმისა და ბამბის მოყვანა გავრცელდეს კავკასიაშიო? ბევრი ილაპარაკეს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრებმა და ბოლოს აღმოჩნდა შესანიშნავი უძლურება თვით კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა. გამოდგა, რომ ამ საზოგადოებაში არავითარი ისეთი საფუძვლიანი ცნობები არ ყოფილა შეკრებილი არც აბრეშუმის მოყვანის შესახებ, არც ბამბისა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო, საკმაოთ დაწვრილებითი ცნობები გაეგზავნათ სამინისტროსთვის. ბევრი არჩიეს, ბევრი ილაპარაკეს და ბოლოს გადასწყვიტეს, დაენიშნოთ კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს პროგრამა, თუ რანაირი ცნობები უნდა შეიკრიბოსო და შემდეგ ადგილობრივ ენებზე დავსტამბოთ და გავუგზავნოთ ფურცლები სხვა-და-სხვა კავკასიის მხარეებში ზოგიერთ მეოჯახეებს და უფრო ადმინისტრაციის მოხელეებს, რომელთაგან უნდა მივიღოთ ყოველნაირი ცნობა, აგრეთვე ერთ-და-იმავე დროს ჩვენი აგენტებიც თან გავაყოლოთ, რომ ადგილობრივათ გამოიკითხონ, თუ რა ეშველება აბრეშუმისა და ბამბის მოყვანის გავრცელებას კავკასიაში:

ამ გადაწყვეტილებიდან ცხადათ აღმოჩნდა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სიუძლურე. გამოჩნდა, რომ მას არავითარი დამზადებული მასალა არ ჰქონია ისეთი, რომ თვით სამინისტროსაც არ ცოდნოდეს. მაშ რაღა მოხელე ყოფილა თვით ჩვენი კავკასიის სამეურნეო საზოგადოება, თუ იმისთანა შემთხვევისთვისაც იმდენი მზა-მზარეული ცნობები არა აქვს, რომ მთავრობას დროზე მიაწვდინოს მოთხოვნილი ცნობები და აუხსნას ადგილობრივი სამეურნეო და სამრეწველო ვითარება. თუ ასე იყო, განა თვით სამინისტრო ვერ გაუგზავნიდა ბძანებას ადმინისტრაციის მოხელეებს, რომ იმათ პირდაპირ შეეტყობინებიათ სამინისტროსთვის უფრო მალე და იქნება უფრო დაწვრილებითაც საქმის გარემოება? მაშ რაღა საჭირო ყოფილა ეს ჩვენი კავკასიის სამეურნეო საზოგადოება, თუ ახლანდელი კავკასიის მეურნეობის და მრეწველობის მდგომარეობა იმის მეტი არ იცის, რაც თვით სამეურნეო სამინისტროს დიდი ხანია კიდეც შეტყობილი აქვს.

ორმოცი წელიწადია ჩვენი კავკასიის სამეურნეო საზოგადოება არსებობს. ამ ხნის განმავლობაში ბევრი

სამეცნიერო გამოკვლევა დაიწერა, მრავალ ქვეყნის ამბები უფრო განათლებულ მეურნეობაზე და მრეწველობაზე შევიძინეთ; მრავალის სამეცნიერო საგნებზე დასტამბული წიგნები და განათლებული ქვეყნების მეურნეობის მიხედვით ჩვენი ქვეყნის სხვა-და-სხვა ნაწილი მეურნეობისა შესწავლული და გამოკვლეული; მაგრამ საინტერესოა შევიტყოთ, რა სარგებლობა მოუტანა ასეთმა მრავალნაირმა გამოკვლევამ და მცნებამ ჩვენს ადგილობრივ მრეწველობას და მეურნეობას? გულწრფელად აღვიარებთ, რომ ამდენი თეორეტიული მუშაობა უცხოელ მეცნიერების და ნასწავლი მეურნეებისა ჩვენს ქვეყანას არაფრათ გამოდგომია. მართალია სამაგალითო სადგურებიც გაგვიმართეს, მაგრამ მიდის იქ სოფლის მეურნე, ეწაფება იმათ გამოცდილებას, იმათ ცოდნას, იღებენ იმათ მაგალითს თავის ოჯახობისა და სამეურნეო მრეწველობის გასაუმჯობესებლათ? არა. მართალია, საბაღოსნო შკოლას და აბრეშუმის ჭიებს აუგეს სასახლეები, რომ ბ-ნ აბრეშუმის ჭიას კარგი ჰაერი ჰქონოდა და ბ-ნი აბრეშუმის ჭია ხმაურობას არ შეეწუხებინა, თფილისში საუკეთესო მუშტაიდის ბაღი სასეირნოთაც დაგვრძალეს, შიგ ეტლის გზა მოშალეს, მაგრამ საქმე მაინც პრაქტიკულათ არ გაკეთებულა. ჩვენს ხალხს მაინც არ ეძლევა საკმაოთ ტანმთელი აბრეშუმის ჭიის თესლი და ამას წინათ ჩვენ გაზეთში ისიც ეწერა, რომ მარტო ერთმა კულაშმა და მისმა ახლო-მახლო სოფლებმა ავათმყოფი თესლის შემოტანით ხუთასი თუმანი მეტი იზარალა. ვერ დაიფარა აბრეშუმის ჭიის სასახლეებმა ჩვენი მეაბრეშუმეები ავათმყოფი ჭიის თესლისგან, ვერ მოგვცა ჩვენმა საბაღოსნო შკოლამ პრაქტიკულათ გამოზრდილი და გამოცდილი მებაღეები, ვერ მოგვცა ლოჭინის ფერმამ ისეთი მაგალითები მეურნეობისა, რომ ჩვენი ოჯახობის საქმე ევროპულ წესზე დამდგარ იყო. რა არის ამის მიზეზი? ის, რომ ჩვენი უცხოელი ნასწავლი მეურნეები მოდიან ჩვენს სამეურნეო საზოგადოების სხდომებზე სხვა-და-სხვა დიდებული პროექტებით. ერთი ამბობს, ბრინჯისა და ვენახის გაშენებას ჯობია ბამბა გავაშენოთო, რადგან ბამბის ყანებს უფრო მოგება აქვსო. მეორე ამბობს, აბრეშუმის ჭიას სასახლეები ავუშენოთ და ტანმრთელი აბრეშუმის თესლი დავურიგოთ ხალხსო, ხალხი ამითი ბევრს მოიგებსო; მესამე ამბობს, დიდი ფერმები დავმართოთ, ფერმაში შკოლა გავაწყოთო და მეურნეობა ხვნა-თესვა, საქონლის მოშენება და მებაღეობა მოწაფეებს შევასწავლოთო. ამასაც სასახლეების აშენება და ვრცელი სახნავ-სათესი და სათიბები დაჭირდა.

ამასთან უცხოელ მეცნიერ მეურნეებმა დაიმართეს სასახლეები, შეუდგენ საქმეს, მაგრამ საუბედუროთ მათ კაცი არ ეკარებათ. ხალხი მათ მეცნიერულ სწავლას და გამოცდილებას გაურბის. უფრო სამწუხარო ის არის, რომ ამისთანა ძვირფას შენობებს და სამეურნეო დაწესებულებებს ბევრი, ძალიან ბევრი ფული დაჭირდა და ხალხისთვის ნაყოფი კი არა ჩანს რა. ყოველივე ეს იქიდან წარმოდგა რომ, ჩვენის მეურნეობის გულშემატკივრებს თვით ხალხთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვსთ. იმათ ხალხის მეურნეობის საქმე, მწუხარება და გაჭირვება არ იციან და ვერც შეუსწავლიათ სამეურნეო და სამრეწველო გარემოებანი ჩვენი ქვეყნისა. ეს მეურნეობის მცოდნე მეცნიერნი უფრო თბილ ადგილებზე ყოფნას ამჯობინებენ, სადაც ხან-და-ხან იკრიბებიან, სხვა-და-სხვა სამეცნიერო მოხსენებებზე აქვთ გაუწყვეტელი ბაასი, პროტოკოლებიც ხშირათ დგება, საქმის წარმოება კანცელარიული ჩინებულათ მიდის, მაგრამ თვით ხალხის მეურნეობის მდგომარეობას ამითი არც ცხელა, არც ცივა. ის ისევ ძველ დროების წესზე არის დაყენებული და ოდნა წარმატება არ ეტყობა.

ორმოცი წელია, როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ, ჩვენი კავკასიის სამეურნეო საზოგადოება არსებობს, თითქმის ნახევარი საუკუნე გასულა! ვინ იცის, რამდენი მილიონი მანეთი გავიდა იმის ხელში კავკასიის მეურნეობის გასაუმჯობესებლათ და ჯერ კიდევ იმდენი ვერ მოუხერხებია, რომ კავკასიის სამეურნეო სტატისტიკა დაეარსებინა. როგორ არ უნდა ჰქონდეს დღეს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას კავკასიის მემამულეთა სია, იმათი ოჯახობის და მეურნეობის ცალკ-ცალკე აწერილობა, ყოველ წლიური ინვენტარი კავკასიის ოჯახობისა, რა კუთხეზე რა მოდის, სად რა ვარგობს, რა ჭირნახულს, რა გვარ საქონლის შენებას, რა მრეწველობას როგორი ამინდი უდგება წლითი-წლობამდე, რა უშლის ხელს და რა გარემოებას მიყავს წინ ოჯახობა? არც ერთი ამისთანა საჭირო ცნობები ჩვენს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში არ არსებობს და ამის მიზეზი უფრო ის არის, რომ ჩვენი კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრნი არიან კეთილ სინდისიანი ჩინოვნიკები, რომელნიც თავის საქმეს უფრო ფორმალურათ უყურებენ და დრო არა აქვთ კეთილი განწყობილება იქონიონ ჩვენ ხალხთან და ცოცხალი კავშირის ძაფი ჰქონდესთ მასთან გაბმული. ხოლო უამისოთ, როგორც მოგეხსენებათ, მეურნეობის საქმე თავის დღეში არც გაკეთებულა და არც გაკეთდება.

გ. წერეთელი.

## სხვა-და-სხვა ამბები

ფრიად შესანიშნავი ამბავი მოგვიტანა რუსეთის გაზეთებმა, ვითომც კავკასიის სამოსწავლო მზრუნველს გ. ვ. იანოვსკის შეეტანოს განათლების სამინისტროში პროექტი ჩვენი საშუალო სასწავლებელთა სწავლის სისტემის გამოცვლისა. ამ პროექტით უნდა მოისპოს კლასიკური ენების სწავლება მესუთე კლასამდის. მიუცილებლათ ყმაწვილებისთვის ეს დიდი შეღავათი იქნება, თუ რომ ჩვენს ახალგაზრდობას ამითი არ დაეკარგება უფლება უნივერსიტეტში უეგზამენოთ შესვლისა. მაგრამ ამასთან იმასაც დიდი მნიშვნელობა ექნება პირველ ოთხ კლასში კლასიკური ენების სამაგიეროთ რა საგნებს დანიშვნენ სასწავლებლათ თუ მარტო რუსული ენა მიუმატეს, მაშინ ჩვენი ქართული მოწაფეები ისევ უწინდელს მდგომარეობაში დარჩებიან: მათს გონების განვითარებას თვალ-საჩინო წარმატება არ დაეტყობათ; ხოლო თუ იგივე პროგრამა შემოიღეს, რომელიც არსებობდა ჩვენს გიმნაზიებში 1871 წლამდის, მაშინ ასეთი ცვლილება ჩვენი ქართველი ყმაწვილებისთვის და საზოგადოთ სომხებისა და თათრების მოწაფეებისთვის დიდი სანუგეშო იქნება. როგორც ვიცით, ძველი პროგრამის ძალით ადგილობრივს ენებს: ქართულს, სომხურს და თათრულს თავის ღირსების შესაფერი ადგილები ეკავა. მასწავლებელნი ჩვენი სამშობლო ენების იყვნენ შტატის მასწავლებელნი და მოწაფენიც უფრო ბუნებითათ ვითარდებოდენ. ჩვენს ახალ-გაზრდობას უფრო ეტყობოდა მაშან სიმკვირცხლე და გონება მათი არ იყო ისე დამძიმებული, როგორც დღეს ჩვენი შვილებისა; მაშინ უფრო საპედაგოგიო ნიადაგზე იყო საქმე დაყენებული და პედაგოგიის გარეშე მისწრაფებანი არ ასახინჯებდენ სწავლებას. იმედია, ჩვენი საზოგადოების წარმომადგენელნი ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევენ ამ ახალ ცვლილებას და, თუ საჭირო იქნება, კიდეც იშუამდგომლებენ უმაღლეს მთავრობასთან, რომ ახალი პროექტი სამშობლო ენაზე სწავლების პროგრამის გაგანიერებით დამტკიცდეს და არა სხვაფრივ.

***

თფილისის მეყასბეების თავგასულობას ამ ჟამათ საზღვარი არა აქვს. ისეთ უარგისს საქონელს ჰკლავენ და ჰყიდიან, რომ შესაზარისია.

ზოგიერთი ყასბები ჩუმათ ხოცვენ ყოველდღე 10—15 სულ საქონელს ისეთს ადგილას, სადაც ჯერეც ვერ შეუნიშნავთ. ამ გვარათ იქცევა თურმე ერთი შაქრუა ყასაბი.

სასურველია ქალაქის გამგეობამ დაავალოს ექიმებს და, ერთიც არის, ხორცი თვით ყასაბ-ხანაში გაისინჯოს ერთ-ერთ მოულოდნელ დღეს, როცა ხორცს მოიტანებენ (ღამის 7—10-ღი) იარმუკის ყასბები.

***

ისმის რომ ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოების შკოლის მასწავლებლებს დაენიშნებათ პენსია და ერთდროებითი ნივთიერი შემწეობა ახლათ შემუშავებულ წესდებისამებრ.

***

ჭიათურა. პირველი თებერვლიდან ჭიათურის რკინის გზაზე წესიერი მისვლა-მოსვლა და შავი ქვის გადატან-გადმოტანა დაწყებულა. ორი ახალი მატარებელი მოსვლიათ ფილადელფიიდან (ამერიკიდან). ამას გარდა შავი ქვის ფასს აუწევია და მუშაობაც გაცხარებულია მადნებში. საზღვარ-გარეთიდან მოთხოვნილება დღითი-დღე მატულობს.

***

რკინის გზაზე ამ ჟამათ ფიცხი კონტროლია გამართული და ბევრგანაც აღმოაჩინეს ბოროტ-მოქმედება.

***

ბაქოში დიდი ცეცხლი გაჩნდა, დაიწვა მთელი პასაჟი და მრავალი სახლები; ზარალი მილიონზე მეტია.

***

აბასთუმანში საუფლისწულო გამგეობა თ. ნდათან მეტ მამულებს ყიდულობს კერძო მესაკუთრეებისაგან.

***

ზუგდიდს მიურატის სასახლე დამწვარა, რომელიც ყოფილა ოცდა-ათი ათას მანეთათ დაზღვეული.

***

ყარსის რკინის გზის კეთება დაუწყეს კიდეც. პირველი სვრელის გაკეთება მიუნდვიათ ინჟინერ თავ. გ. ზ. ანდრონიკაშვილისთვის.

***

სოფ. საკობოში სიგნახის მაზრაში ხურევება (საოფლე) გაჩენილა.

***

სამეურნეო სამინისტროს განუზრახავს მელიორატიული სესხი აძლიოს ეროვნებას სამუშაობესო იარაღების და უკეთესი ჯიშის საქონლის მოსაპოვებლათ. სასურველია ჩვენს მემამულეებსაც მისცეთ ასეთი სესხით ფულები.

## საყურადღებო ამბები

**გორი.** გორიდან დიდათ სასიამოვნო ამბავია გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი მამა დეკანოზ ღამბარაშვილის ქველ-მოქმედებაზე. მას შეუკეთებია და გაუშვენიერებია ოქონის ტაძარი, დაუარსებია სამრევლო მზრუნველობა, შემოუღია ქართული წირვა-ლოცვა და მოძღვრება დარიგება ქართულ ენაზე, აპირებს აგრეთვე დაარსოს ეკლესიასთან სამუდამო კრებული ქართული მგალობლებისა. ყოველსავე ამას დიდი გავლენა მოუხდენია მრევლზე. ეკლესიას თანდა-თან ემატება მლოცველები. აი, როგორი სიტყვებით აგვიწერს კორრესპონდენტი შედეგს ასეთი ქრისტიანული ქველმოქმედებისას მამა დეკანოზ ღამბარაშვილისას: „ღმერთმა გაანათლოს ჩვენი დეკანოზიო —ამბობენ მლოცველნი— რომ ჩვენ სული და გული მაგან გაგვინათლა; აქამდის ჩვენი ჭკუა და გონება სიბნელით იყო მოცული და ახლა კი მაგან გაგვინათლა ჭკუა-გონება და გზა-კვალიც. მხოლოთ ახლა გავიგეთ ჩვენი სჯული და შევიგნეთ ჭეშმარიტი სარწმუნოება...“

ასეთი ძლიერი ზეგავლენა აქვს წირვა-ლოცვას და ქრისტიანულს მოძღვრებას სამშობლო ენაზე. საჭიროა, ყურადღება მიაქციოს ამ მაგალითს უმაღლესმა სასულიერო მთავრობამ და იხმაროს ეს ერთათ-ერთი ჭეშმარიტი გზა ხალხში ქრისტიანული გრძნობის გასაღვიძებლათ, რომელსაც დადგომია მამა დეკანოზი ღამბარაშვილი.

ღმერთმა ქმნას, რომ ჩვენს ახალგაზდა მღვდლებს მიებაძოს ამ ჩინებულ მაგალითისათვის. მხოლოთ მაშინ დამყარდება მამაშვილური დამოკიდებულება მღვდელსა და მრევლს შორის; მაშინ აღარც ღვდლები დაიწყებენ ჩივილს, მრევლი არას გვაძლევსო.

***

**დ. ხიდისთავი (გურია).** მალე გვექნება, როგორც მოგეხსენებათ, კარგი ხიდი მდინარე გუბაზეულზე, ბ-ნი სიო ბერიძის თაოსნობით. აგვცდება ის შიში და ძრწოლა, რომელიც გვქონდა დღემდის წყალდიდობაზე.

აგრეთვე გვექნება ნინო ბერეჟიანის თაოსნობით დაარსებული წიგნთ-საცავი. მაგრამ საკვირველი ეს არის, რომ ერთათ-ერთი დედათა სასწავლებელი გვაქვს ამ დაბაში, ხუთი წლის წინეთ ჭაპანწყვეტით დაარსებული დ აგერ ორ-წელიწად-ნახევარი გადის, რომ უმასწავლებლობის გამო კარებ-დაკეტილია. არვინ გამოჩნდა ისეთი პირი, რომ ჩაეგონებია საზოგადოებისთვის, მასწავლებელი ვიშოვოთო.

ასე გასინჯეთ რომ, დღეს დანგრევასაც უპირებენ შკოლის დარბაზს.

კარგს იქმოდა სიო ბ—ძის ასული, რომელმაც ქერჩის დედათა ინსტიტუტში გაათავა სწავლა და დღეს შინ ბრძანდება, ითავებდეს ამ შკოლის საქმეს და თავის ხალხს სამსახურს გაუწევდეს. იმედი გვაქვს, ეს ასეც იქნება ბ-ნი სიო ბერიძის შემწეობით.

***

**სამეგრელო.** ახალსენაკში და ს. ხორშში მეტათ გამრავლებულა ქურდობა. არ არის დაცული იმათგან არც კერძო მცხოვრებელთა ქონება და არც ეკლესია. უწინ სამეგრელოში მხოლოთ საქონლისა და ცხენის ქურდობა იყო გახშირებული. წვრილ-ფეხობას: ქათამს, ბატს, ინდოურს და ღორს მეგრელი ქურდი არ კიდებდა ხელს. ახლა კი გარჩევა აღარ არის. რაც მოხვდებათ ხელში ღამის მთევლებს, აღარაფერს ზოგავენ. ეს სხვათა შორის იმასაც ამტკიცებს, რომ ეკონომიური მდგომარეობა ხალხისა თანდათან ეცემა და მასთან საზოგადო ზნეობაც უკანდაუკან მიდის.

***

უგულითადეს მადლობას ვუცხადებთ ბ-ნ ვასე რაჭველს, რომელმაც აქაურ ქართველ მოსწავლეთა მოგვაწოდინა „კვალის“ რედაქციის საშუალებით 15 მანეთი ფულათ და რამდენიმე ცალი ქართული წიგნები.

### კიევში მოსწავლე ქართველები

***

**ს. ნიგოითი. (გურია)** ნიგოითში ამ ხანათ ქურდობა და სხვა ამ გვარი ავაზაკობა მეტათ გავრცელდა. წარსულ ახალწლის მიწურულებში მოიპარეს 30 ღორი, სამი უღელი ხარები და სამი ცხენიც. ამ ქურდობას იქვე ტყეში მეჯოგე მეგრელებს ეწამებიან.

გონების განვითარების მხრივ ჩვენში ბაიბურიც არ ისმის იმის მეტი, რაც ერთი შკოლა გამართეს. არც ბიბლიოთეკა, არც ჟურნალ-გაზეთობა და არც წიგნები. აქაურ ვაჭრებს ყველას საკმაოთ შეძლება აქვთ და, აგრეთვე თავად-აზნაურებსაც მაინც, რომ ხელი მისცენ ერთმანეთს აქაურივე მასწავლებლების შემწეობით და წიგნთ-საცავის საძირკველი ჩაჰყარონ, მაგრამ ამ გვარ საქმეს აქ კეტით დევნიან, რაიც მტკიცდება ცხადათ. ზოგიერთი ვაჭრების ხელოსნათ უმეტესათ ის არის, საზოგადო ფულებს ერთი, ან ორი დაეპატრონება. მაგალითათ ბეს. ქიშკარიანს და ლ. ბარამიძეს 300 მანეთი ჰმართებს აქაურ მოვაჭრეების. აგერ მესამე წელიწადია და ესენი ფულის უკან დაბრუნებაზე ყურსაც არ იბერტყენ იმ დროს, როცა იმ ფულებით, რომელიც იყო თვით ვაჭრებიდანვე შეგროვილი, უნდა გაკეთებულიყო საჭირო საგნები ამავე ნიგოითის სადგურზე.

დროა აწი მაინც წარმოადგინონ ამ ვაჟბატონებმა ეს ზემოხსენებული ფული. რაც აქამდის ისარგებლეს, ისიც ეყოფათ.

შარშან თუ ბლომათ მოდიოდა აქ ჟურნალ-გაზეთობა, წელს სამაგიეროთ ნაკლებია, როცა მეტი უნდა იყოს.

***

სოხუმი. ს. გუფში (ესეც კოდორის ნაწილშია) არის ერთი პატარა ტბა, რომლის გაჩენაზე აფხაზები მოგვითხრობენ შემდეგს: „იმ ალაგას, სადაც ახლა ტბაა, მოსახლობდა ძველათ ერთი ღვდელი. ამ ღვდელს ერთხელ ნადი მოეწვია ყანის გასამარგლათ. ნადისთვის, ჩვეულებისამებრ, რამე სახორცე უნდა დაეკლა. ღორი დააჭერინა და განგებ ჭყვირილი დაუწყებინებია, რომ მონადეებს ჰგონებოდათ, ღორი დაგვიკლაო. ღორი გაუშვა, მიეიდა და ღორის ნაცვლათ ძაღლი დაუკლა. ამ ღვდლის სიძე, კარგი ვინმე, ამ დროს აქ ნადში ყოფილა. ახალ გათხოვილ ქალს ღვდლისას ამ თავის ქმრისათვის ფარულათ ეთქვა: „რომელ საკლავის თავ-ფეხს ვერ დაინახავ, იმ საკლავის ხორცსაც ნუ შეჭამო“... მოვიდა სადილობის დროც. სიძე და მენადეები ერთათ დასვეს, მეხორცემ ხორცი ჩამოარიგა. ამავე დროს სიძემ უთხრა მენადეებს: „სანამ თავ-ფეხს არ დაინახავთ, ხორცს ხელს ნუ შეახებთო“. მოითხოვეს თავ-ფეხები. აღმოჩნდა: დაკლული ძაღლი ყოფილიყო. სიძე წამოდგა და დაიწყევლა: „დაქცეულ ღვდელსავით დაგაქციოს ღმერთმა, რომ საწყევლათ უუბნებოდენ ერთმანეთს,—ისე გაუხსდოს ჩვენმა გამჩენმაო“. მენადეებიც წამოდგენ და ერთხმათ წამოიძახეს—„შენი ნათქვამი აღსრულდესო“ და ამ სიტყვებთან სამ-სამჯერ თოხები მიწას დაანარცხეს. წყევლა ასრულდა: გასქდა მიწა, ამოვარდა წყალი. სიძემ დაინახა მღვდლის უნაგრიანი ჯორი იქავ მიბმული. ზედ წამოახტა, ცოლიც უკან მოისვა და გასწია: წინ როგორც იყო ფეხის გადადგმას ასწრებდა, მაგრამ უკან ფეხების გადადგმის უმალვე მიწა იქცეოდა, წყალი ამოდიოდა და გუბდებოდა. როგორც იყო, დიდი ვაი-ვაგლახით ლალიძგამდის ჩააღწია. მისი ნაკვალევია ის პატარა ღელე, რომელიც მოხსენებულ ტბას მდინ. ლალიძგას უერთებს... გადარჩა ის ორი მარტო, სხვები ყველანი დაიღუპენ. მას შემდეგ კიდევ დიდხანს ამ ალაგას წყლის ქვეშიდან ამოისმოდა მამლის ყივილი, ძაღლის ყეფა და სხ.

ამიტომ დაერქვა, აფხაზების სიტყვით, ამ ტბას „პაპანწყურ“ (ეს სიტყვა აფხაზურათ გადაკეთებული მეგრული სიტყვებია: პაპა—მღვდელი, ნწყუილი—დაქცეული), რომელიც ნიშნავს—**დაქცეული, დაღუპული ღვდელი.**

დღეს ს. გუფუს მცხოვრებნი, როგორც ახალი ქრისტიანები, სრულიათ არა ჭამენ ღორის ხორცსა და მთელ სოფელში ერთათ-ერთი ღორის ყურიც არ მოიძებნება. ძველათ კი, როგორც ხედავთ, ზემომოყვანილი ლეგენდიდან, გუფულები ქრისტიანები ყოფილან, ჰყოლიათ საკუთარი მღვდელი და ღორის ხორცს ჭამდა არა ერთი და ორი, არამედ მთელი კრებული ადამიანთა.

პ. ჭ—ა

---

# პანორამა *)

აქ არიან თავ-მოყრილი
სულ ჩვენები და არ უცხო!..
მინდა საგზლათ თვითოეულს
„გამოცანა“ გაჭოუცხო:

—

აი!.. ხედავთ ამ ვაჟბატონს,
ყველაზე წინ რომ დამდგარა
და სახეზეც აწერია:
„თავ-მოყვარე!.. მეტიჩარა?“

—

დღეს ერთია, ხვალ მეორე;
აქ სულ სხვაა და იქ სულ სხვა!..
აპრილივით მოიდარებს,
მარტივით კი იცის სუსხვა.

—

ხან მხარს აძლევს ფარისევლებს,
გოლგოთაზე მიდევს ქრისტეს
და ყველაზე მაღლა ჰყვირის:
„წაიყვანეთ! ჯვარს აცვით ეს!“

—

ხან კლეოპატრით ლიტანიას
ქრისტიანთან უვლის ერთათ
და იძახის: „ქრისტე აღდგა!“
აღვიაროთ ღმერთი ღმერთათ“,

—

ხან მტერია მოსისხარი,
ხან მორჩილი—მონა შვილი!..

---

*) იხილე „კვალი“ № 6.

არც აქ არის, არც იქ არის,
მისტი-მოსტის, როგორც რწყილი!

—

„ასკუკუსს" მოთამაშე,
„ფიგაროა" მწერლობაში!..
იმას ცდილობს, მხოლოთ იმას,
რომ ატეხოს რამ განგაში!..

—

შეახეთქოს ტოლი-ტოლსა,
მეგობარი მეგობარსა;
მერე შედგეს მაღალ სერზე,
გადაძახოს მთა და ბარსა:

—

„შემომხედეთ", აი, სად ვარ
გმირი, ყოვლის შემძლებელი?..
კარზე ყურით მიბმული მყავს
იუდა და ბელზებელი.

—

ჩემი გეგმით, ჩემი რჩევით
ეს ქვეყანა გაჩენილა!..
ზამთარ-ზაფხულს მე ვაყენებ,
ჩემით ცივა, ჩემით თბილა!..

—

თვით შემოქმედს ჩემი რჩევით
მოუწყვია არე-მარე!..
მე ვათენებ, მე ვაღამებ,
მე ამომყავს მზე და მთვარე!

—

მოდით რაღა!.. მეთაყვანეთ!..
მე ვარ თქვენი წინამძღოლი!..
მე ვარ მხოლოთ მე! მე! მე! მე!..
არვინ არის ჩემი ტოლი!"

—

ამას ყვირის კუდა-ბზიკა!..
გაგვიჭედა ყველას ყური!..
წვერიც აქვს და „მე"-საც ბღავის,
ვით თხა ცხვრების მეთაური.

—

ბევრს ატყუებს!.. მის ხელშია
ჩვენი ცხვრების ბედის-წერა!..
მაგრამ ჩვენ კი უკაცრავათ,
იმისი რამ არა გვჯერა:

—

„მე"-ს რომ ბღავის არ ვარგია
იმისთანა მეთაური!..
თუ გარეთ მგელს გადაურჩა,
ძაღლი შეჭამს შინაური!..

—

ეს ცხადია, მაგრამ მაინც,
გადაკვრია თვალზე ბისტი
და ყოველგან „მე"-ო ბღავის
ზოგიერთი პუბლიცისტი.

აკაკი

(შემდეგი იქნება)

## „ივერიის" პოლიტიკანობა და ქართულის გაუგებრობა

გაზეთი „ივერია" (№ 23) თვალ-ცრემლიანი გვესაყვედურება შემდეგ ნაირათ:

„გაზეთი „კვალი" არ სჯერდება ჩვენის ქვეყნის დასების არევ-დარევას და ახლა საფრანგეთისკენაც გაუწვდია ხელი. იქაურ ხაქმეების, ფაქტების და ნამდვილ მდგომარეობის მიხედვით კი არ სჯის, არამედ á priori-თ, როგორც მას „კვალს" სურს და ეჭაშნიკება".

დიახ. ამ გვარივე გოდებით წუწუნებს ახლა ჩინეთის ბოგდიხანიც იაპონელებზე: ამ წყეულმა იაპონელებმა შინაური დასები აგვირია, ქვეშევრდომებს მიბრიყვებს და ახლა, ამასაც რომ არ დაკმაყოფილდა, ევროპისკენაც გაუწვდია ხელი. იმათ სახელმწიფოებსაც ემუქრება, ნუ შამოერევით ჩვენს შინაურს ბრძოლაში, თვარა თქვენც შავდღეს დაგაყენებთო.

სამწუხაროა, როცა გაზეთი თავის პოლიტიკურ სიბრძნეს გაზეთების ნაწყვეტ-ნაწყვეტ ცნობებზე ამყარებს და დღეს რომ ერთს გაიძახის, ხვალ მეორეს. ეს იმაზეა დამოკიდებული, რომელი ნაწყვეტი ცნობაც ხელში მოხვდება. ვისაც საპოლიტიკო ისტორია ევროპის სახელმწიფოებ-სა და განსაკუთრებით საფრანგეთისა გულდასმით არ შეუსწავლია ამ ოც-და-ათიწლის განმავლობაში, ის ყოველთვის ამ გვარ მდგომარეობაში ვარდება, მარტო გაზეთების ნაწყვეტ-ნაწყვეტ ცნობებზე დამყარებული ყოყოჩობს და თავი დიდ პოლიტიკოსათ მიაჩნია. ამგვარი თვისების არის „ივერიის" მეპოლიტიკეც. იმას ვერ გაურჩევია, რა ხდება დღეს საფრანგეთის სახელმწიფო გამგეობაში და, რაკი ფელიქს ფორი პრეზიდენტათ აირჩიეს კაზიმირ-პერიეს მაგიერათ,

ჰკონია, რომ ალბათ ისიც ზომიერი რესპუბლიკელი უნდა იყოსო, რადგან დღეს ზომიერი რესპუბლიკის პარტია უფლებს, ესე იგი ძალა საფრანგეთის პარლამენტისა ცენტრის ხელშიაო. ასეთი შეხედულება დღევანდელის საფრანგეთის პარლამენტის დასებზე პოლიტიკური უმეცრების მეტს არას ამტკიცებს. დღეს ზომიერი რესპუბლიკის მომხრეებს უკვე დაეკარგათ თავისი ძალა. ამას ამტკიცებს თვით კაზიმირ-პერიეს გაქცევა, რომელმაც სახელმწიფო გამგეობაში იმდენი გავლენა ველარ იქონია, რომ თავისი პროგრამა გაეტარებინა. კაზიმირ-პერიე პირდაპირი მემკვიდრეა ტიერის შეხედულებისა პოლიტიკაში. ტიერმა თუ განაცხადა მესამოც-და-ათე წლებში: ამიერიდან საფრანგეთის უმჯობესი ფორმა მთავრობისა რესპუბლიკა არისო, ეს იმიტომ რომ იგი დარწმუნდა, მონარხია შეუძლებელი-და არისო, რადგან ბურბონობა და ორლეანობა ნაპოლეონობამ დასცა სამიდღეჩიოთ და ნაპოლეონობა კი მტრის შემოსევამ. ტიერმა მხოლოთ ძველს კონსტიტუციონალურს გამგეობას უცვალა ფერი და კონსტიტუციონალური პარტია მონათლა ზომიერ რესპუბლიკურ პარტიათ. შარშანდელმა ძლიერმა მუშა ხალხის მოძრაობამ ამ პარტიის მნიშვნელობა აგრეთვე საბოლოვოთ დასცა კარნოს სიკვდილთან ერთათ. დამარცხებულმა ზომიერ რესპუბლიკელების პარტიამ უკანასკნელი იერიში მიიტანა გამარჯვებულ პროგრესიულ დემოკრატულ პარტიაზე (რადიკალებზე) და წამოაყენა მებრძოლ მეთაურათ კაზიმირ პერიე; მაგრამ ამაოთ. დაუძლურებულმა ზომიერ რესპუბლიკის პარტიამ ვერ გაუმაგრა ზურგი თავის გმირს, რომელიც ბრძოლის ველიდან გაიქცა. ნახევარი ამ პარტიისა თვით გადვიდა პროგრესიულ დემოკრატიაში. ამ სახით საფრანგეთის პარლამენტმა იცვალა ფერი. გაძლიერდა ის პარტია, რომელსაც ორგანიზაცია მისცა ჯერ კიდევ გამბეტამ და რომელიც ახლა შეიქმნა ძლევა-მოსილი. ეს პროგრესიულ დემოკრატული პარტია დღემდის ატარებს გამბეტას მიერ ამართულ დროშას, რომელზედაც არის ზე-წარწერილი მისი პროგრამა. ამ პროგრამის აზრი შემდეგია: სრული თავისუფლების შეტანა რესპუბლიკურ-პოლიტიკურ წყობილებაში, დამყარება კანტონალურ თვით-არსებობისა, განთავისუფლება ეკლესიისა რომის პაპის ბძანებისაგან და დაარსება საფრანგეთის ნაციონალურ ეკლესიისა, განთავისუფლება შკოლისა კლერიკალურ გავლენისაგან და ეკონომიური ცვლილებების შემოღება დროსა და გარემოების მიხედვით. ეს პროგრამა ასულდგმულებს დღეს რადიკალურ რესპუბლიკურ პარტიას, თუმცა იმას არავითარი საერთო არა აქვს რა, არც სოციალისტებთან და არც კომმუნარებთან. ამ პარტიის წარმომადგენელი გახლავთ დღეს როგორც ფელიქს ფორი, ისე ბრისსონი. ეს იმითაც მტკიცდება, რომ ფელიქს ფორმა თვითონ მოიწვია ბრისსონი სამინისტროს შესადგენათ და, თუ ბრისსონი არ დაეთანხმა, აქ უფრო პიროვნული უკმაყოფილებაა მიზეზი ერთი და იმავე პრინციპის მიმდევარი რადიკალური პარტიის ორ ჯგუფს შორის, ვიდრე არსებითი რამე განსხვავება მათში. ასეთი ამბავი ჩვენშიაც გახლავთ. მოვიყვან ამას მაგალითათ, რომ უფრო ნათლათ გამოვთქვათ ჩვენი შეხედულობა. ყველამ იცის, რომ ჩვენში სათავად-აზნაურო ბანკის საქმეებში ორი ერთმანეთზე უკმაყოფილო ჯგუფი არსებობს. ორსავე ამ ჯგუფს პრინციპი და პროგრამა ერთი და იგივე აქვს. ორივეს საადგილ-მამულო ბანკი დიდ რამეთ მიაჩნიათ ქართველებისთვის. მაგრამ ერთიმეორეს მაინც კვალში უდგია. ერთი, რომელსაც ეწოდება ოპოზიცია, ამტყუნებს მეორეს, რომ შენ კარგათ ვერ მიგყავს საქმე იმისთვის, რომ ზარმაცი ხარ და საქმეებიც არ გესმისო; მე რომ ვიყო გამგებელი, უკეთ წავიყვანო. მეორე ეუბნება: არაო. თუ ბანკის საქმეებმა ჩემსავით დინჯათ არ იწარმოვა, აჩქარებით საქმე გაფუჭდებაო. შენ რომ ჩაგივარდეს ხელში, შენ აჩქარებული ხარ და საქმეს წაახდენო. სწორეთ ამნაირი პიროვნული კინკლაობა გამოუდისთ ფელიქს ფორს და ბრისსონს, თუმცა ისინი ორნივე ეკუთვნიან გამბეტას მიერ შექმნილ რადიკალურ რესპუბლიკის პარტიას. ამ პარტიას სხვათა შორის ეკონომიურ ცვლილების პროგრამაში უწერია ღარიბი მუშა ხალხის ბედ-იღბლის გაუმჯობესება, სხვათა შორის, იმითაც, რომ ვისაც ლუკმა-პური არ მოეძევა და არც სამუშაო მოეპოვება თავის ქვეყანაში, იმათ შეეწიონ ნივთიერათ და მდიდარს შორეულს თბილს ქვეყნების ადგილებში ახალშენებათ დაასახლონ, მესაკუთრეებათ გახადონ. ჩვენ გამოვთქვით ეს აზრი, მაგრამ „ივერიამ" ჩვენი ქართული ვერ გაიგო და გვაწამებს, ვითომც მე მეთქვას, რადიკალური პარტია კოლონიალურ პოლიტიკას მისდევსო, ესე იგი სხვა ქვეყნების საახალშენოთ დაპყრობა მას პროგრამაში უწერიაო. რა ჩვენი ბრალია, რომ „ივერიამ" ქართული -ჯ იცოდეს და ნათქვამის აზრი ვერ გაიგოს.

# პარიჟი

## V

### რამდენია პარიჟი?

ახირებული კითხვაა! მაგრამ პარიჟი რომ ერთი არ არის, ეს კი ცხადია. მაშ ვისთა ებრძოდა პარიჟი? ვის უწევდა მეტოქობას? ნუ თუ თავის თავს? აშკარაა პარიჟი ერთობას არ წარმოადგენს. ის დაყოფილია, დანაწილებულია, აი, ამ დანაწილებაშია მისი სიძლიერე, მისი საარაკო ბუმბერაზობა. პარიჟი ყოველ კრიტიკულ დროს გაორებულია. ერთი პარიჟი მეორის სისხლის მსმელია, მისთვის არ ზოგავს არც თოფს, არც წამალს, ერთი სიტყვით არაფერს, ოღონდ კი დაამარცხოს, ქვეყნიდან აღგაოს. უკანასკნელი ერთი საუკუნის ისტორია წარმოადგენს ბრძოლას ამ ორ ნაწილთა შორის და მეტს არაფერს. რატომ იბრძვის ერთი, რისთვის ღვრის სისხლს მეორე? ერთი იმიტომ, რომ უკვე შეძენილი ბატონობა შეირჩინოს, მეორე კი—მორჩილებისაგან გამოვიდეს, დაჩაგრული თავისუფალ მოქალაქეთ გადაიქცეს. პირველათ პარიჟმა გაილაშქრა თავად-აზნაურობის წინაღმდეგ (1789 წ.), მას ჩამოართვა უფლება-უპირატესობა და მოქალაქობრივი თანასწორობა დაამყარა. აქ ვითომ გაერთდა პარიჟი, ერთ წუთს თავისუფლათ ამოისუნთქა, მაგრამ ეს გაერთიანებული ხელახლავე გაიყო, ორათ გახთა. შთამომავლობით არისტოკრატიის ადგილი ფულის არისტოკრატიამ დაიჭირა. აქ აღარ კითხულობენ: რა გვარის ხარ? არამედ: რამდენი ფული გაქვს? პარიჟი ფულიანი, პარიჟი უფულო, მდიდარი და ღარიბი, ასე გაიყო დიდებული ქალაქი. ამ ნაწილთა შორის არა ერთხელ ამტყდარა ომი. აქამდის ყოველთვის პირველს რჩებოდა გამარჯვება. ახლა დიდი მოფიქრებით და წინდახედულობით ემზადება დამარცხებული და დღევანდელი პარიჟის ცხოვრება ამ სამზადისს წარმოადგენს. აი, აქ მარხია თანამედროვე პარიჟის დედა-ძარღვი. თუ გსურთ საფრანგეთის ლიტერატურულ-გონებრივი მოძრაობა, საშინაო და საგა-



აღზევნის (ვოგეზის) ქვა-მარილის სათხრელი მადანი.

რეო პოლიტიკა გაიცნოთ, აი, ეს მზადება უნდა გაიცნოთ, ამ ცხოვრების გულში უნდა ჩაძვრეთ. ორივე პარიჟი მომხრეებს ეძებს როგორც შინ, ისე გარეთ. პარიჟის ბატონს შინაურ და უცხოეთის ბატონებთან აქვს საქმე. პარიჟი-ყმა შინაურ და უცხოეთის ჩაგრულთ უწვდის ხელს: მოდით, ცხოვრება ჩვენ გემოვნებაზე მოვაწყოთო. პირველს ჰსურს დაიცვას ის, რაც აქვს დ რაც ექნება —ეს კონსერვატორია; მეორეს—შეიძინოს ის, რაც დაეკარგა და რაც ყოველ დღე ეკარგვის. —ეს რევოლიუციონერია. ამ ასი წლის წინათ პირველმა ძოახთინა რევოლიუცია მეორის შემწეობით. ის დღეს კმაყოფილია, ის ამბობს: ჩვენ უკვე შევასრულეთ ჩვენი მოვალეობა, ხალხი დავიხსენით აზნაურთა და სამღვდელოების ულლისაგან, ახლა ალარაფერი საქმე გვაქვს. ყველაფერი ჩინებულათ მიდისო. მეორე უპასუხებს: ეგ მართალია, მხოლოთ ეს ცვლილება უფრო თქვენი, მდიდრების, სასარგებლო დარჩა, ვინემ ჩვენთ ლარიბებისთვის. ახლა ჩვენ უნდა მოვახდინოთ რევოლიუცია, ჩვენდა სასარგებლოთო. როგორც ხედავთ, პარიჟი ერთ და იმავე დროს ერთიც არის და ორიც. ერთია — მოქალაქობრივი თანასწორობის და პოლიტიკური თავისუფლების დასაცველათ; ორია—ეკონომიური სამართლიანობის დასამყარებლათ; პარიჟის ყოველ დღიური ცხოვრება ამ ორ დედა-აზრს გარეშე ტრიალებს. პარიჟელი ვინც უნდა იყოს, რა ხელობასაც მიდევდეს, მწერალი, ვაჭარი, მუშა: არტისტი, მზარეული, მეცნიერი, მეეტლე და სხ. უთუოთ ერთს, ან მეორე დედა-აზრს ემხრობა. პოლიტიკური რწმენა — მისი ცხოვრების საფუძველია, ამაზე შენდება ნაცნობ-მეგობრობა, მოყვრობ.ნათესაობა. პარიჟელებს აერთებს არა გვარი, სახლიკაცობა, ჩამომავლობა მეზობელ-ნათესაობა არამედ საერთო აზროვნება. ძმა ძმის მოპირდაპირეა, მამა შვილის, მეზობელი მეზობლის, თუ კი ისინი სხვა-დასხვა პოლიტიკური რწმენის არიან. ამ სახით, პარიჟი ორათ არის გაყოფილი, რომელთა შორის ყოველს დღე, ყოველ საათში ბრძოლაა. ამ ჟამათ რძოლის იარა ლია მწერლობა, საზოგადო ყრილობა,



საერო ტრიბუნა, არჩევნები, საბჭო, პარლამენტი და სხვ. მაგრამ ყველა ეს იარაღია, გზაა მეტი არაფერი. აქ მოპირდაპირეთ ჯარი იწვრთნება, ხალისდება, მზადდება, რომ ერთ მოულოდნელ დღეს ერთმანეთს დაეჯახონ და ერთმანეთი გაანადგურონ. საკვირველი ის არის, რომ ამდენი დაყიდარაბა პირველს არ მიუწყენია. უკან არ დგება. ის მუდამ გაბედულია, თავი მაღლა მოაქვს, აღფრთოვანებულია.

კიდევ ვიკითხოთ: რამდენია პარიჟი? ერთი? არასოდეს, პარიჟი ორათ არის დანაწილებული, მაგრამ არ იფიქროთ პარიჟის დანაწილება მის დაწვრილმანებას, დახურდავებას ნიშნავდეს. პარიჟის ცხოველ-მყოფლობა, მისი სიდიადე ამ დანიშნულებაშია. ერი მოწიფულობაში შესული ერთდება, იმავე დროს ორდება, ხელახლა ერთდება, ორდება და ასე ბოლომდის. ეს მისი სიცოცხლის ნიშანია, ეს მისი მოძრაობის ჩალხია...

საზღვარ-გარეთელი

(შემდეგი ქნება)

# ჩვენი სახიობა

თებერვლის 2 წარმოადგინეს ავალიშვილის ქალის ბენეფისში ზუდერმანის ოთხ-მოქმედებიანი დრამა, სახელად „მამულ-დედული", თუმცა ეს სახელი თვით დრამის შინაარს ვერ გამოხატავს. მამულ-დედული ნიშნავს უძრავ-ქონებას, სამკვიდროს. უფრო ჰგონებდა ჩვენის აზრით მთარგმნელს დაერქმია ამ დრამისთვის: „მამის ჭერ ქვეშ". საზოგადოთ ვერ ვიტყვით, რომ დრამა ცუდი ნათარგმნი იყოს. ეს დრამა არის ნამდვილი გულისთქმათა გამომეტყველი და ხასიათების დამხატველი. მადლობის ღირსია მთარგმნელი ამისთანა დრამის ამორჩევისთვის. ქართულ სცენას დიდი ხანია აღარ უჩვენებია მაყურებლისთვის დრამული დახასიათება ცხოვრებისა უეფექტებოთ, უმანჭვა-გრეხოთ. ამ შემთხვევაში გერმანული დრამა ხელოვნებით უფრო მაღლა დგას ფრანგულ დრამაზე. მაგრამ ჩვენი საზოგადოება ასეთ დრამებზე ამთქნარებს ხოლმე და ძილიც ეკიდება. ჩვენის აზრით, ეს ხელოვნების შეუგნებლობას უფრო ამტკიცებს, ვიდრე დრამის უფერულობას. აი, ამ გარემოებამ დაატანა ძალა ქართულს სცენას მეოთხმოცე წლებში ფრანგულ მელოდრამებისათვის მიემართა, რომ ჯერ კიდევ გამოუღვიძებელს ჩვენს საზოგადოებას ეფექტებით სავსე მელოდრამებით აღეძრა სურვილი ქართულ თეატრში სიარულისა. თუმცა ერთი მხრით ეს გარემოება ქართული სახიობის წარმატებისთვის ნაბიჯის წინ წადგმა იყო, მაგრამ მეორე მხრით კი ხელოვნებისა და მის საგრძნობელ გემოვნების ჩამოქვეითებას მოასწავებდა. ჩვენი დრამატურღები თანდათან მიეჩვიენ ეფექტებით სავსე დრამების ცნობას; ამის გულისთვის ბევრი შვენიერი ისტორიული სუჟეტიც გაგვიფუჭეს. მაგრამ უამისოთ არც მოხერხდებოდა, რომ ქართულ სახიობას თავი გაეტანა.

დღეს კი ჩვენი სახიობა იმდენათ დამწიფებულია, ქართველ საზოგადოებასაც იმდენათ შეუყვარებული აქვს თავის სამშობლო სცენა, რომ ფიქრი აღარ უნდა ჰქონდესთ ჩვენი სცენის მმართველებს, თავის ხელოვნების გემი მოატრიალონ და შეცურონ გერმანიის კლასიკურ ხელოვნების მორევში. ვგონებ, თვით ბ-ნ გუნიასაც ალღო აუღია ასეთი მიმართულებისათვის და ამით აიხსნება ზუდერმანის დრამის თარგმნა.

დიდიხანია ჩვენ აღარ გამოგვიცდია ასეთი ნამდვილი სიამოვნება ქართულ სცენაზე, როგორიც გამოვცადეთ ზუდერმანის დრამის თამაშობის დროს. გულახდილათ უნდა ვთქვა, რომ ავალიშვილის ქალი, გ. ყიფიანი და ჩერქეზიშვილის ქალი ასე ცხოვრების სინამდვილით მოთამაშენი სცენაზე ჯერ არ მინახავს. ისინი თითქოს თავის საკუთარს ოჯახში ტრიალებდენ და საკუთარ ცხოვრების ვარამსაც გვიხატავდენ. ძვირათ, ძალიან ძვირათ ეხერხება ავალიშვილის ქალს ასეთი დახასიათება ტიპისა, როგორც მან დაგვიხატა მაგდას როლი. იმას თითქოს თვით გამოეცადოს ასეთი ბრძოლა ცხოვრებაში ოჯახის მოვალეობასა და საკუთარი პიროვნული თავისუფლების ძიებას შორის. ის ვერ შერიგებოდა ვერც თავის მამას, ვერც ოჯახში ჩვეულებით დამკვიდრებული ზნეობის შებღალვას და ვერც საკუთარი თავისუფლების შელახვას. ამ ორ-წყალშუა ბრძოლამ მოქანცა და ბოლოს იმსხვერპლა მამის სიკვდილთან ერთათ მისი პიროვნებაც. ავალიშვილის ქალმა ცოცხლათ დაგვიხატა ნაგრძნობი და ნაგემი ნაღველი ცხოვრების თავგადასავლისა და ამიტომაც იყო მისი თამაში ძვირფასი. დრამის შინაარსი შემდეგია. ძველი გერმანული აზნაურის შვარცის ოჯახში მოხდა ისეთი შემთხვევა, რომელიც ასე ხშირია ჩვენ ცხოვრებაშიაც. შვარცი დიდათ აფასებს თავის ოჯახის ზნეობრივ სიწმინდეს, მაგრამ სამწუხაროთ მისმა ქალმა მაგდამ ჩაიდინა ისეთი უმართებულო საქმე, რომლის გულისთვისაც მამა მისი შვარცი, ეს პატიოსანი დამსახურებული ღენერალი, თავის ტოლსა და ამხანაგში კეთილშობილური ხასიათებით გამოჩენილი კაცი და ნაზი მამაშვილური გრძნობით შემკული უნდა შეიქნეს მსხვერპლათ. მაგდას შეუყვარებია ფონ-კელლერი, მთავრობის მოხელე. მალე გამოცხადებულა ამ სიყვარულის ნაყოფი და კეთილშობილს მამას ასეთი შეურაცხყოფა ველარ აუტანია, ხელი აუღია თავის საყვარელს ქალს მაგდაზე, მაგრამ მაგიერათ ეს შემთხვევა მასაც ძვირათ დაჯდომია. ის ახლა ერთი დამბლა დაცემული, სამსახურიდან დათხოვნილი უძლური მოხუცია, მაგრამ ასეთის განქვებას მამის ოჯახიდან მაგდა არ დაუღუპავს. მას გამოჰყოლია მამის მტკიცე ხასიათი და

ცხოვრების ბრძოლაში თავი გაუტანია. მას დაუცავს თავისი პიროვნული თავისუფლება, შეუსწავლია სცენური ხელოვნება და შექნილა სახელოვანი მსახიობი. მოუპოვებია სიმდიდრე და სახელი, გამხდარა სრული თავისუფალი ცხოვრების დამოკიდებულებისაგან და, აი, ახლა მონატრებია თავის მამის ჭერ-ქვეშ ისევ დაბრუნება. მას გაღვიძებია ისევ მამაშვილური გრძნობა. ოჰ, რა ბედნიერი წამია მამისთვის თავის დაკარგული ქალის პოვნა, მაგრამ ის მაინც ვერ შეაწევს თავის ქალს ზნეობრივ შებღალვას თავის ძველი აზნაურიშვილის ოჯახისას და აქ გაიმართება ნამდვილი შინაური დრამა. მაგდას ჰყავს შვილი ფონ-კელლერის ხელში. რაკი ეს ამბავი გამოცხადდება, მამა უპირებს თავის ქალს და თავის ოჯახს იმ ჩირქის მობანას, რომელიც ფონ-კელლერმა მოაცხო. იმას უნდა ფონ-კელლერი დუელში გამოითხოვოს. მაგრამ ფონ-კელლერი დაასწრებს მამას და გამოუცხადებს მას, რომ მაგდა უნდა შეეირთოვო. მამა ამით დაკმაყოფილდება; მაგრამ თვით მაგდა კი ზიზღით უყურებს, რაკი ფონ-კელლერმა პირობა დაუდვა მაგდას, რომ შვილი დედის მკერდიდან უნდა მოიწყვიტოვო და დროებით სიყვარულის ნაყოფზე ხელი უნდა აიღოვო. მაგდა ასეს გზით არ თანხმდება მის ცოლობას. მაგრამ ასეთი პირობა ფონ-კელლერისთვისაც მიუცილებლად საჭიროა, რადგან ის სახელმწიფო სამსახურშია, საპატიო ადგილი უჭირავს საზოგადოებაში და არ უნდა სახელი გაითუჭოს საზოგადოებაში მითქმა-მოთქმით. იმას უნდა საკუთარი შვილი უმსხვერპლოს თავის ეგოისტურს ანგარიშებს, პიროვნულ კეთილმდგომარეობას. მაგდა, როგორც ნამდვილი დედა, ფონ-კელლერს მიაფურთხებს ასეთი უგულობისათვის. უძლური მამა ვეღარ იტანს ასეთს შეურაცხყოფას ოჯახისას და თავის ჯავრს გადაჰყვება. დიახ, ძალიან საგულისხმოა ეს ზუდერმანის დრამა ჩვენ ზნე-წამხდარ საზოგადოებისთვის... განა ჩვენში არ არიან ასეთი ტიპები? განა ჩვენს უმაღლეს ინტელიგენციას არა ჰყავს ფონ-კელერისთანა სხვისი ოჯახის შემბღალავი? არა ერთი ახალგაზდა კეთილშობილი ოჯახიდან გამოსული ნასწავლი მანდილოსანი გახდა გაუბედურებული ფონ-კელლერისთანა ვაჟბატონებისაგან, რომელნიც ჩვენს საზოგადოებას თავში უდგიან, საზოგადო მოღვაწეობის დროშა აუფრიალებიათ და ყველაზე მეტს ყვირიან საზოგადოების ზნეობაზე და ურთიერთობაზე?.. მიიხედ-მოიხედეთ, ბატონებო, ჩვენს გარშემო და დაინახავთ. აი, ეგ გახლავთ, ეგ.. უმჯობესია, ჩვენო ფონ-კელლერებო, ჯერ საკუთარი ჩირქი მოიწმინდოთ და მერე იქადაგოთ საზოგადოებრივ ზნე დაცემულობაზე.

მაზაკვალი

## პ ა რ ტ ა ხ ი

(მოთხრობა ეგ. ნინოშვილისა).

შემდეგი *)

### X

ერთ ყმაწვილ კაცს, ჯერანის ახლო მეზობელს, ძლიერ მოწონდა მელანია. „რაცხა იმფერი ეშხიანია, იმისთანაი საყვარელი ენა აქ, რომ მისი გულიზა დადნები“-ო, ფიქრობდა მელანიას შესახებ ეს ყმაწვილი და თან ძლიერ ემდურებოდა ბედს, რომ მელანია მას არ შეახვედრა ცოლათ. ერთ საღამოს მელანია ძროხების მოსადენათ წავიდა. მაისის იაკამა დარი იდგა; მწვანე ბუჩქებით და ტყეებით დამოსილ ბუნებას გულის დამატკბობელი შეხედულება ედვა. მელანიას უყვარდა ბუნების ამ ნაირი მდუმარება, მის დაღონებულ გულს რაღაც ერთ გვარი სიტკბოება ედებოდა, როცა უმზერდა საღამოს ლურჯ ცას ქვეშ დადუმებულ მწვანე ქედებს, ბუჩქებს და პატარა-პატარა მინდერებს, აქა-იქ ყანებით აჭრელებულს. ის მიდიოდა ნელი ნაბიჯით და თან ესიყვარულებოდა ბუნებას. გაიარა ვიწრო მწვანე მინდორი, გაეიდა პატარა მდინარეზე, რომელიც თითქო რაღაცას ლაპარაკობსო, ისე ჩუმი, საიდუმლო დუდუნით გარბოდა წვრილი შავიქვით მოფენილ კალაპოტში, აუარა გვერდი ყანას, რომელშიაც მწვანე მუქ ფერი ზღვასავით გადაშლილიყო ახალი ამოსული სიმინდი; უკანასკნელ მელანია შევიდა ერთ ბუჩქნარში, რომელშიაც მიდიოდა ძლივს შესამჩნევი ბილიკი. როცა მიაწია იმ ადგილს, სადაც ბილიკი ორათ იყოფოდა, მელანიას შემოესმა ფოთლების შრიალი. „სუ, ძროხა თუა!“ იფიქრა ქალმა, შეჩერდა და გაიხედა იქით, საიდანაც შრიალი მოისმა. მაგრამ ძროხის მაგიერ ბილიკზე გამოეიდა ლევან (ის ყმაწვილი, რომელსაც მელანია მოწონდა) და მორცხვათ უთხრა მელანიას: „საღამო მშვიდობის“. ხშირ სუნთქვაზე ეტყობოდა, რომ ყმაწვილი კაცის გული ძლიერ მღელვარებდა. მელანიას თუმცაღა ცოტაოდნათ გაუკვირდა: „რას უცდიდა, აი, კაცი აქანაი“-ო, მაგრამ მღელვარება კი არ შეუმჩნევია: „ჩემი ძროხები ნახე ეგება“—ჰკი-

*) იხ. „კვალის“ №№ 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 1894 წლისა. ვისაც სურს ამ მოთხრობის მთლათ წაკითხვა ჩვენის წარსულის წლის ხელის მომწერლებს გარდა, იმათ შეუძლიათ დაიბარონ წარსული 1894 წლის „კვალი“, რომელიც დაეთმობათ ხუთ მან. გაგზავნით.

თხა მან ყმაწვილ კაცს და როცა პასუხათ მიიღო „ეგერაა, ყველაყაი გადაღმა“-ო, აპირებდა წასვლას. უცბათ ლევანმა გადაუღობა გზა და ხმის კანკალით უთხრა:

— შენთან სიტყვა მაქ.

— რა სიტყვაა? ჰკითხა გაკვირვებულმა მელანიამ.

— იგი სიტყვა, რომ დევიწვი კაცი, შენმა ბზერამ დამწვა! მღელვარებით უთხრა ლევანმა და სახეზე ალმური მოედვა.

— მელანიასთვის ეს სიტყვები სრულიათ მოულოდნელი იყო. მაგრამ მაინც კი სწრაფათ უპასუხა ლევანს:

— ლევან, თუ კაცის ნამუსი გაქ, დამეთხუე. ყოლიფერში უბედური რომ გამუა ადამიანი, მე ვარ! ჩემ სიცოცხლეში იმისთანაობა გულში არ გამივლია და შენ მაინც გიფიქრებია, ვითამც მე იმისთანა ქალი ვიყო!

— ვერ დაგეთხოვი! ვიცი, მიუკარებელი ხარ, მარა მაინც ვერ დაგეთხოვი.

— აბა, რას აპირობ, ძალას? აბა, ჰა, გაბედე, თუ კაი ბიჭი ხარ! მუქარით უთხრა მელანიამ და დააპირა წასვლა, მაგრამ ლევანმა მოჰკიდა ხელი და უთხრა:

— ვერ გაგიშობ, ჩემი გულის ამბავი თუ არ შეგატყობიე. ესე ვერ გაგიშობ.

— იცოდე, ლევან, თავს შამოგაკლავ და საიმგეაროთ არ დაგნებდები! — თავგანწირულებით მიუგო მელანიამ.

— იმას არა, ესთე ტყუილაი, თითო პირს შენთან ყოფნის ნებას მომცემ?

— არა, ლევან, გაფიცებ, ხელი ეიღე ჩემგან.

— თითო პირი ტყუილაი, ესე ერთათ ყოფნა და ლაპარაკი?

— ღმერთო! მოდი ჩვენსას და იყავი, ვინ გიშლის.

— თქვენსას ვერა, თქვენსას რომ მუალ, შემოხედვასაც ვერ ვბედავ. სადმე სხვაგან.

— მერე რაი, რა გვაქ სალაპარაკო?

— მე მაქ. თუ ვინმე გიყვარს, სულ იმასთან იყო და ილაპარაკო, გინდა კაცს. შენ მიყვარხარ, ტყვია მომხთეს ამ გულში, თუ ჯერ ესე ვინმე მყვარებოდეს, რავაც შენ!

— რეიზა, ლევან, სხვას ყველას ვძულვარ და შენ რა ჩემმა უბედურობამ შეგაყვარა ჩემი თავი! ან რათ გინდა ჩემი სიყვარული!

— რა ვიცი, კი გაჩთა ამ გულში და რა ვიცი! შენ გულს? შენ გულს აფერი შეუტყვია? ამ კითხვის დროს, ცოტა დააკლდა, კინაღამ ცრემლები არ გადმოცვინდა ლევანს თვალებიდან. მელანიამ შეხედა და მოაგონდა ნიკო მოახლიშვილი. ნიკომ იცოდა ესე „მგრძნობარეთ“ შეხედვა, როგორც ახლა უმზერდა მას ლევან. ამ მოგონებამ ცოტაოდნათ მოალბო მელანიას გული.

— ჩემი გული რას შეიტყობდა? მე მიმაჩნიხარ ესე, რავაც ერთი კაი მეზობელი.

— მეტი აფერი? რა ცრუობა ყოფილა, რომ იტყვიან — გული გულს იგრძნობსო. ახლა მითხარი, მაძლევ, თუ არა ნებას? თქვენსას არა, სადმე სხვაგან, ჩემს მეტი რომ არ იყოს ესე.

— ლევან ტყუილაი ყოფნით და ლაპარაკით შენ აფერი გაგიკეთდება და რომ შეგვიტყონ, ჩვენ არჩივ ქვეყანას ქე დააქცევენ. ხომ იცი, ჩვენი ოჯახის ამბავი!

— ვერ შეგვიტყობენ, ვერა. ნუ მომკლავ! მითხარი — კი თქვა.

— ღმერთო! ლევან, არ ჯობს, დამიჯერე.

— სამშაფათს აქანაი დაგიხთები.

— ნუ, ლევან, თვარა ბოლოს შენც გეწყინება, რეზა ვქენი აგიო.

— სამშაფათს, ამ დროზე. მაძლევ თუ არა სიტყვას?

— არ ვიცი, ეგება ქე მოვიდე. ნამდვილს ვერ გეტყვი.

— კაი, თუ გული გიზამს მომატყუე. ჩემდა თავად სამშაფათს აქანაი გიცთი, იცოდე.

ამ სიტყვებით დაშორდენ იმ დღეს ლევან და მელანია ერთმანეთს. „ნამდვილათ მოვალ-მეთქი ხომ არ მითქვამს. არც მიეალ“ — ფიქრობდა პირველათ მელანია და უნდოდა დავიწყებოდა ის შემთხვევა — ლევანის იმ დღეინდელი შეხვედრა. მაგრამ არ იქნა, არ ავიწყდებოდა. რაღაც აშინებდა, თან რაღაც უხაროდა. ერთ ღამეს დაესიზმა. რომ ლევან და ის ეხვეოდენ ერთმანეთს, შემდეგ კიდე ნახა სიზმრათ — თითქოს ლევან იგივე ნიკო მოახლიშვილი ყოფილიყოს და ისე უყვარდა, რომ ისეთ მძლავრ სიყვარულს ენით ვერც კი გამოხატავს ადამიანი. ყოველ შემთხვევაში მელანიამ გადაწყვიტა არ მისულიყო ლევანთან პაემანზე. მაგრამ მოაწია თუ არა პაემანის დღე, მელანიამ შეცვალა თავისი გადაწყვეტილება: ის ჩვეულებრივზე ერთი საათით ადრე წავიდა ძროხების მოსადენათ, რომ ლევანს შეხვედროდა დანიშნულ ადგილას. როცა ლევანმა უთხრა მას: „აბა, მოვეფაროთ იქით და პაწა ხანს ვილაპარაკოთ“-ო, მელანია თანახმა გაუხდა, მხოლოთ, ეს კი, რომ ჯიბიდან ამოიღო პატარა ყვითელ ტარიანი დანა, აჩვენა ლევანს და უთხრა: „აა, ხედავ ამას? იმისთანაობა რომ რამე იფიქრო და ძალით მომერიო, შენ თუ ვერა, ჩემ თავს შენ თვალწინ დევიკლავ“-ო. „იმ დღესაც გითხარი — მიყვარხარ და შეყვარებულთან ძალადობას, აბა, რავა იზამს კაცი! მხეცი ხომ არ ვარ“. — უპასუხა ლევანმა გულწრფელათ.

კარგა ერთ საათს ისხდენ მელანია და ლევან ერთათ. ლევან უამბობდა, თუ პირველი გაცნობი-

სთანავე როგორ „სხვაფრათ შეექნა გული მაზე“, თუ როგორ ესიზმა ერთ ღამეს, ვითომც მელანია მისი ცოლი იყო და სხვა ამ გვარებს. მელანია გაჩუმებული უგდებდა ყურს და მხოლოთ ხან-და-ხან იტყოდა თითო ოროლა სიტყვას: „მერე“, „ჰო“, „კი“ და სხვა ამისთანას. მაგრამ ლევანის საუბარმა, რომელშიაც ისმოდა გულწრფელობა და უტყუარობა, საკმაოთ იმოქმედა მაზე. მოშორების დროს ლევანმა და მელანიამ კიდევ დანიშნეს პაემანი, კიდევ შეხვდენ ერთმანეთს, კიდევ ბევრი ილაპარაკა ლევანმა თავის გრძნობებზე. მელანიამ მეორე ნახვის დროს მხოლოთ თავისი სიზმრები უამბო ლევანს. განმეორდა ასეთი პაემანი და ნახვა რამდენიმეჯელ. ყოველ ნახვას შემდეგ ლევან უფრო და უფრო ვრცელ ადგილს იჭერდა მელანიას გულში. მელანია დარწმუადა, რომ ლევან ერთათ-ერთი ადამიანი იყო მისთვის, რომელთანაც შეეძლო გამოეთქვა თავისი გულის პასუხი. მართალია, მელანიას ასეთ ადამიანათ ლევანის გაცნობამდე თეკლე მიაჩნდა. მაგრამ მას შემდეგ, რა რომ ლევან გაიცნო, დარწმუნდა, რომ თეკლეს ისე სრულიათ არ შეეძლო მისი გულის გაგება, როგორც ლევანს. ლევანი და მელანია თითქოს ხედავდენ კიდეც ერთმანეთის გულს, ისინი მარტო სიტყვით კი არა, თვალებითაც ელაპარაკებოდენ ერთმანეთს. ამ ნაირი ერთმანეთის გაგებით და თანაგრძნობით უნდა აიხსნას ის, რომ მელანიას შეუყვარდა ლევან. ახლა მელანიასთვის ის წამი იყო ნეტარების წამი, როცა ლევანს უმზერდა. ის აღარ ემუქრებოდა ლევანს — „იმგვარობა არ იფიქრო, თვარა დანით დევიკლავ თავსა“-ო. ლევან რომ გაგიჟებულიყო და დანით მოენდომებია მელანიას დაკვლა, მელანია ყელს აჩვენებდა: „აჰა, დამკალი, თუ კი შენ გაამებ ამით“-ო. ლევანი და მელანია სრულიათაც არ ფიქრობდენ იმაზე, თუ რა შედეგი ექნებოდა იმათ სიყვარულს. მხოლოთ ხან-და-ხან მელანია კი ეტყოდა ლევანს: „წევიყვანოთ ჩემი ლუკაი და საცხა გადევიკარგოთ“-ო. ლევანსაც უნდოდა მელანია საკუთარი მისი გამხთარიყო, თავისუფლათ შეეძლებოდა მასთან ტრფიალი. მაგრამ კარგათ იცოდა, რომ ამის მიღწევა შეუძლებელი იყო მისთვის: ჯერე რომ ჯერან არ გადაარჩენდა ცოცხალს ასეთ შეურაცხოფისთვის. ეს, ვთქვათ, კიდევ არაფელი. ლევან კარგი ვაჟკაცური გულის და ღონის პატრონი იყო და არ შეუშინდებოდა ამ დაბრკოლებას. მაგრამ სასულიერო და საერო კანონები, ხალხისაგან ლანძღვა-კიცხვა, ნათესავებისაგან წყრომა და სიძულვილი — ესენი ყველა მათ ლაუწყებდა დევნას. თუმცაღა ლევან ერთი უსწავლელი გლეხი იყო, მაგრამ ესენი ყველა მაინც კარგათ ესმოდა მას და ამიტომაც მელანიას ასე პასუხობდა: „არა, ჩემო მელო, ასე ქურდულათ ვიყოთ, უკეთესია, თვარა რომ გევიქცეთ, მოგვაგნებენ, მთლათ მოგვაცილებენ ერთქამეთს და მაშინ რაღაი“-ო. ეს კი ლევანმა გადაწყვიტა თავის გულში: „ცოლს არ შევირთავ, რაღამც მელანია შემიყვარდა“-ო.

ვინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა მელანიასა და ლევანს შორის ამგვარი ცხოვრება, რომ ხვარამზეს და მის ქალს, განსაკუთრებით ამ უკანასკნელს, ეჭვი არ აეღო რძალზე — „ვინცხა უნდა უყვარდეს“-ო. ამ იჭვის მიზეზათ გახთა ის გარემოება, რომ მელანიას ძლიერ შეუყვარდა ძროხის მოსადენათ მარტო სიარული. „რაცხა კი მიეგულება იქით, რომ ესე უხარია ამ ბოლოს ძროხის ძებნა“-ო. — ფიქრობდა ელისაბედ. ერთ დღეს, როცა მელანია ძროხების მოსადენათ წავიდა, მულიც გაჰყვა უკან ჩუმათ. „რა ნახა დღეს იგი ჩემა დასათხრებმა თვალებმა! რეზა არ დამიდგა თვალები იმის ნახვამდი!“ შეილაპარაკა სახე გაფითრებულმა ელისაბედმა სახლში, როცა დაბრუნდა. „რა იქნა, ციცავ! მითხარი რა ამბავია, თვარა აგია, გამისკდა გული!“ — მიაგება თავის ქალს პირში ხვარამზემ, რომელმაც დიდი მოუთმენლობა იცოდა ამისთანაობაში. ელისაბედმა უამბო დედას, თუ როგორ ისხდენ მათი რძალი და ლევან ერთათ ბუჩქნარში. „მივარდნოდი და ფჩხილით დამეგლიჯა ორივე, გული არ მიშლიდა. მარა იქინეი ჩემი ყოფნა რომ შეეტყვენ, ჩვენი გამბახებელი რძალი შინ აღარ მოვიდოდა, მომკლავენო და საცხა გეიქცეოდა, მაშინ მთლათ თავი მოგვეჭრებოდა ქვეყანაში!“ - დაბოლოვა ელისაბედმა თავისი სიტყვა. ხვარამზეს ისეთი თავზარი დასცა ამ ამბავმა, რომ დიდხანს ვერ ახერხებდა ენის თქმას. როცა ცოტაოდნათ დამშვიდდენ, ხვარამზემ და მისმა ქალმა არჩიეს და გადაწყვიტეს, რომ ეს გარემოება გააგებიონ ჯერანს. მაგრამ ეს გაგებინებაც ძლიერ საშიში საქმე იყო: ჯერან მოკლავდა ცოლს და მაშინ ხომ სულ დაილუპებოდენ. საჭირო იყო, რომ ამ ამბის ჯერანთან გამხელის დროს, ორი-სამი მოკეთე და კაი მეზობელი დაესწროთ. ვინიცობაა, თუ ჯერან თავის ცოლის მოკვლას დააპირებდა, ესენი არ დაანებებდენ, ჩამოდგებოდენ ცოლ-ქმარს შორის მოსაშველეთ, შეარიგებდენ და მერე, როცა ჯერანი სიტყვას დადებდა არ მოვკლაო, იცოდენ, რომ აღარ უმტყუნებდა თავის სიტყვას.

მოსალამოვდა. მელანიამ მოდენა ძროხები და დაამწყვდია „ქალტაში“, მერე მობრუნდა და დაუწყო სიყვარულობა თავის ლუკას. მეტის-მეტ კარგ გუნებაზე იყო. იჭვათაც არ იცოდა, თუ რა ამბები ჰქონდათ მის გამო მის დედამთილს და მულს. მართალია, ეს უკანასკნელები ისე უყურებდენ, თითქოს შეჭმა უნდათ მისიო. მაგრამ სიტყვით კი არას ეუბნებოდენ და ამიტომ ვერ მიხვდა მათი გამომეტყველების აზრს. ათასჯელ უნახავს ამათ სახეზე ასეთი გამომეტყველება. მოვიდა ჯერანიც ყანიდან, ხვარამზემ გადაიარა და მოიყვანა სამი კაცი, რომლებსაც წინ-და-წინვე გაანდო, ასე და ასეა საქმეო. შიშის ჟრუანტელი უვლიდა ტანში როგორც ხვარამზეს, ისე მის ქალსაც. არ იცოდენ, რით გათავდებოდა საქმე. მაგრამ რა ექნათ? მათი ფიქრით, ისინი მოღალატენი შეიქნებოდენ ჯერანის წინაშე, რომ არ გაემხილათ, — ცოლი ღალატობსო.

(შემდეგი იქნება)

## დაგვიანებული პასუხი

### ბატონ ნა—ლს „მოამბე“ № 10 1894 წ.

წარსულ წელს „კვალის“ ერთ-ერთ ნომერში აკაკიმ, რომელმაც ჩანს, ვერ იცნო საპასუხოთ ბ-ნი ნა—ლი, მის სტატიის დამსტამბელ „გამომცემელ ამხანაგობას“ მცირე შენიშვნა მისცა. ჩვენ გვეგონა, თუ იმ შენიშვნას შემდეგ ბ-ნი ნა—ლი შენანებული დარჩებოდა, მაგრამ, ვინ არ იცის, კერპობა რა ძნელია.

„მოამბის“ მე-10 ნომერში კიდევ გამოყო თავი და თავისვე კერპობას არ იშლის. დაბეჯითებით გვიმტკიცებს, რომ აკაკი წერეთელი ქვეყნისთვის მავნე კაცია და მისი როგორც მწერლობა, ისე საზოგადო მოღვაწეობაც ქვით დასაქოლია. ის ჩემულობს წინასწარმეტყველობას, მის მოწინააღმდეგეებს ლანძღავს, ნდომულობს მეთაურობას მიუხედავათ მისი უძლურებისა. დღეს რომ ერთს იტყვის, ხვალ მეორესო და სხვანი და სხვანიო. ბატონი ნა—ლი იმდენათ ცნობილია ჩვენში, როგორც გონიერი, მეცნიერი, და მოუყიდველი ხასიათის გმირი და თანაც იმდენი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ქვეყნისადმი, რომ იმის სიტყვებს რაღა საბუთი ეჭირებოდა? მაგრამ იმას მაინც დაუმდაბლებია თავი და დასამტკიცებელი საბუთებიც წამოუყენებია. აი, სწორეთ ამ მისგან წარმოდგენილი საბუთების განხილვას შევუდგებით ჩვენც. „ბატონ აკაკის მოუნდომებია მესამე რაზმში გარევაო“. მის დასამტკიცებლათ მოჰყავს პატარა ნაწყვეტი იმ დიოი სიტყვიდან, რომელიც სულხანიშვილის სადილზე წარმოუთქვამს და სადაც სხვათა შორის ადღეგრძელებს მშრომელს მუშა ხალხს და მათ თანამგრძნობლებს. ამისთვის ისეთ მედიდურათ ეპყრობა სიტყვის მთქმელს ბ-ნი ნა—ლი, თითქოს მომაკვდინებელი ცოდვა ჩაედინოს. როგორ თუ ახლა აპირობს ჩარევასაო. კი, მაგრამ განა ესევე აზრი სხვა დროსაც, ამ ოცდაათი წლის განმავლობაში ასჯერ და ორასჯერ არ გამოუთქვამს აკაკის, როცა კი შემთხვევა ჰქონია? გადაიკითხეთ მისი ლექსები, მასი პროზები, მისი სიტყვები და მაშინ დარწმუნდებით, რომ ახლა არ განუძრახავს მესამე რაზმში გარევა, ე. ი. საწყალი ღარიბ ხალხის თანაგრძნობა. მერე რა არის აქ საწყენი და საძრახისი? იყო დრო, როდესაც განსვენებული ნ. ზედგინიძე, ნესტორ თავდგირიძე, თვით ბატონი ნა—ლი და მეც მათ რიცხვში თქვენი უმორჩილესი მონა მაგვარსავე აზრებს შევჭყლოპინობდით. ბ-ნი ნალი მზათაც იყო ერთ დროს მაგ აზრებისათვის თავიც შეეწირა, გვირგვინი დაედგა და ისიც სხვაგან. დღეს კი მადა განდიდებია და მაღალ ფარდულს ეპოტინება და კიჟინას აყრის იმათ, ვისიც სასწორი ამ ოცდა-ათი წლის განმავლობაში საზოგადო ასპარეზზე უკულმართათ ოდნათაც არ გადახრილა, მაშინ როდესაც ბ-ნი ნა—ლის სასწორის გობი ხან დაბლა დაეშვება და ხან მაღლა პროწიალობს.

რათ ახსენა მშრომლები აკაკიმ იმ სუფრაზე, სადაც მუშათაგანი არავინ ყოფილა და მხოლოთ წვრილ-ფეხობა თავად-აზნაურობა იყოვო? ბ-ნო ნა—ლო, როგორ გგონიათ, იმ წვრილფეხობა თავად-აზნაურობაში ცოტა ერეოდა ნამდვილი მუშა და ოფლის მღვრელი, ღირსი თანაგრძნობისა? ამერიკიდან ხომ არა ხართ მობძანებული? თქვენ ხომ ორპირელი ბძანდებით და მე მუხიანელი გახლავარ, თითქმის მეზობლები ვართ და როგორ ვერ შეგინიშნავს, რომ ჩვენში წვრილფეხა აზნაურებს ოფლის წურვით, თოხით, ნამგლით, ცულით, სახნისით და ამ გვარებით გამოჰყავთ ცოლშვილი სხვა საშუალება რომ აღარ აბადიათ რა? განა ყველას თქვენსავით შეუძლია კალმით ირჩინოს თავი? ალბათ ქართლშიდაც ამ მდგომარეობაში არიან წვრილფეხა აზნაურობა და აკაკის ისინიც სახეში ჰყავდა. თუ პირდაპირ მათზე არ მიათითა, ამას უბრალო ზრდილობა მოითხოვდა და ან ვისთვის რა საჭირო იქნებოდა? ყველამ გაიგო და ის, რომელიც თქვენებურათ ცდილობს გაგებას თავისას, აროდეს არ დაიშლის დღეს რომ მზეზე მიუთითო და უთხრა მზეაო, ის მაინც გეტყვის,—არა, მთვარეაო.

როდესაც მუშების თანამგრძნობლები ახსენა აკაკიმ, იქ ბ-ნი სულხანიშვილიც რათ დაასახელაო? ამაზე იჭრის ყელს და იკლავს თავს ბ-ნი ნა—ლი და დიდი რაინდულის გამბედაობით შედგომია სულხანიშვილის ძაგებას. ახლა ესეც სადაო საგანია? ჰჩანს, რომ თქვენ სულ სხვა თვალით უყურებთ ბ ნ სულხანიშვილს და ბ-ნი აკაკი კი სულ სხვა გვარ კაცათ იცნობს და რა უფლება გაქვთ, ლანძღოთ კაცი, რატომ ჩვენი აზრის არა ხარო?

განვიხილოთ ახლა მეორე საბუთი: ბ-ნ აკაკიმ ოთხ მაისს ისეთი წერილი დაბეჭდა გაზ. „ახალ-მიმოხილვა“ში, რომ ის უცნაური წერილი სამუდამო სახსოვრათ დარჩებაო და მოჰყავს კიდევაც ის წერილი: „ამ ჟამათო ბრძანებს აკაკიო, სააღგილმამულო ბანკი ისეთ დაწესებულებათ, ისეთ საგნათ არ მიმაჩნია, რომ განათლებულმა ქართველმა მთელი თავისი ყურადღება საკუთრივ ამ დაწესებულებას მიაქციოს. ბანკის ოპერაციის წესისამებრ საწარმოებლათ არაა საჭირო არც ასტრონომია, არც პოეზია. ცოტა ოდნათ გონება-გახსნილს და ჩვეულებრივი ნიჭის პატრონ ინტელიგენტს, თუ შრომის მოყვარე და კეთილის განზრახვის მქონებელია,

შეუძლია იმ ოპერაციებს თავი გაართვას; ამიტომ პეტრე იქნება ეს კაცი, ივანე, თუ მაქსიმე სულ ერთიაო“. აა! ეს არის ის მომაკვდინებელი ცოდვის ბუდე წერილი? მერე რა არის აქ საშინელი? ნუ თუ ეს ცხადი ჭეშმარიტება არ უნდა იყოს ყველასათვის, ვისაც გონება არ დაკარგვია და გრძნობა არ მოჯადოებია? განა მართლა ისე დავეცით, რომ დღეს მარტო ერთათ-ერთი ბანკია ჩვენი ნუგეში და ხსნა? ჰჩანს, რომ ის გზები, რომლისკენაც ისეთი მედიდურობით გვითითებდით სამოცს აქეთ, ის ადგილები, რომლებსაც გვიხატავდით, უკვე განხორციელებულა და მათზე ფიქრი და ზრუნვა საჭირო აღარ რის. ახლა მხოლოთ ერთი ბანკი დარჩენილა. აღარც ეროვნება, აღარც აღებმიცემობა, აღარც მეურნეობა, აღარც პედაგოგია და სხვა ამ გვარი რამეები, რომლებსაც დღემდის რიცხვი არ ჰქონებია, თურმე დღეს ყველაფერი ეს ჩვენი გულიდან უნდა ამოიხოცოს; ბანკი, მხოლოთ ბანკი და მეტი აღარაფერი. თუ აკაკი წერეთელი, რომელმაც უფრო სხვა იდეალები შეიხორცა და ამდენი ხანი გულით ატარებს, ვერ თანაუგრძნობს თქვენს შორს გამჭვრეტელობას და ამბობს: არა, მართალია, ბანკი ერთი რიგიანი საშუალებათაგანია ჩვენის ცხოვრებისა, მაგრამ იმისთანა დიდ რამეთ არ მიმაჩნია, რომ სხვა ყოველიფერი დავივიწყოთ და მაგას გადავყვეთო, ეს შეგიძლია მიაწეროთ მის მიუხდომელობას, მის გონების სისუსტეს, მაგრამ რა საბუთი გაქვთ რაღაც მზაკვრობას რომ ეწამებით? ყველაზე უფრო სასაცილო ის არის, რომ ამ სიტყვების ამოწერის შემდეგ, იქვე თავისებურათ ხსნის და ამბობს ბ-ნი ნა—ლი: აქედან აშკარათ ჰჩანსო, რომ აკაკის აზრით ბანკი მაინცა და მაინც დიდი არაფერიაო. ვერ ხედავთ? ასე ცხვირის წინ აზრის გადასხვაფერებაც შეიძლება? განა აკაკის სიტყვები „საადგილ-მამულო ბანკი ისეთ დაწესებულებათ, ისეთ საგნათ არ მიმაჩნია, რომ განათლებულმა ქართველმა მთელი თავისი ყურადღება საკუთრივ ამ დაწესებულებას მიაქციოსო„ ნუ თუ ეს იმას ნიშნავს, რომ ბანკს არაფრათ აუასებს ბ-ნი აკაკი? ეს ნათელი სიტყვები: „მთელი თავისი ყურადღება“ და „საკუთრივ“, ნათლათ ვერ აგებინებენ ადამიანს, თუ რა უნდა ეთქვა? მაშ მეტი რა ქნას მთქმელმა, რომ თქვენ გაგაგებინოსთ?

ამ თავისებურ დასკვნას შემდეგ ბ-ნი ნა—ლი, დასამტკიცებლათ მისა, რომ აკაკი პუბლიცისტიკაში და საზოგადო საქმის სამსახურში მტკიცე ვერ არისო, გადადის სხვა მაგალითზე და მოჰყავს კიდევ ნაწყვეტი იმ სიტყვიდან, რომელიც მეორეთ აკაკის წარმოუთქვამს ერთ თვეს შემდეგ. ადარებს ერთმანეთს, კიდევ თავისებური მხარმოქცეული დასკვნა გამოყავს და ეკითხება აკაკის: „როდის იყავი გულწრფელი და როდის არაო?“ ერთგან სხვას ამბობ, მეორეგან სხვასო. რა საკადრისია, რომ გზა-კვალს უბნევთ საზოგადოებასო. შეურაცხყოფას აყენებთ ქვეყანას, აზრს, ლოღიკასო და სხვანი და სხვანიო. მოდი ახლა და ეს სიტყვები გავშინჯოთ. „დღეს, როდესაც კრება გათავდა, დაიშალა და თქვენ სახლისკენ ბრუნდებით, მე კიდევ იმავე რჩევით მოგმართავთ, რომლითაც მოგმართეთ კრების წინეთ! როდესაც საზოგადო საქმემ მოგიწოდოსთ, ნუ დაიზარებთ ხოლმე ჩამოსვლას. ვალი აიღეთ!.. ართუ ქალამნებით, ფეხშიშველა რომ ჩამოხვიდეთ, დასაძრახისი არ იქნება!.. არათუ სასტუმროებში და ბალებში, ქუჩებშიც რომ მოგიხდესთ ღამის გათევა, ნუ გერცხვინებათ! შესარცხვენი ის არის, ვინც გრძნობითა და გონებით არის ღარიბი და არა ის, ვისაც სიმართლე და ჭეშმარიტება უხელმძღვანელებს“.

კიდევ დიდება შენთვის ღმერთო! რა არის ამ სიტყვებში უგულწრფელო და გასაკიცხი? ან ეს ორი ნაწყვეტი რითია ერთი მეორის წინააღმდეგი? ბ-ნი აკაკი ერთგან ლაპარაკობს ბანკის მეთაურობაზე და მეორეგან დარიგებას აძლევს „საადგილ-მამულო“ ბანკის წევრებს; მაგრამ ჭეშმარიტათ ძნელი ყოფილა გულისთქმის მორევა. რადგანაც ესეები აღარ ესმის ბ-ნ ნა—ლს, ვეტყვით კიდევ სხვა გვარ ანალოგიურ მაგალითს, ეგება მაშინ მაინც მოისაზროს, დამშვიდდეს, ბანკის ხსენება რომ აღარ იქნება. ვთქვათ, აკაკი ამბობს „ესა და ეს სასწავლებელი, ანუ შკოლა, თუმცა კარგი არის, სრულიათ საჭირო არ არის, რომ მაგას გაჰოუწეროთ მასწავლებლათ უპირველესი აკადემიკოსი, ან მეცნიერ-პროფესორი. მაგისთვის სრულიათ საკმაოა ინსტიტუტ-გათავებული შრომის მოყვარე, საქმის მცოდნე და სინდისიერი მასწავლებელი, რომელთა რიცხვი ჩვენში ბევრია. ასე თქვა ერთხელ. მეორეთ იმავე შკოლის შეგირდებს ურჩია: „შკოლა ისეთი რამეა, რომ ყოველთვის უნდა დადიოდეთ იქ, არ უნდა დააკლდეთ ხოლმე და რასაც იქ გასწავლიან, თვალყური ადევნეთო“. ნუ თუ ცხადი არ არის, რომ ამ ორ სიტყვაში ერთმანეთის საწინააღმდეგო არაფერი არის. ამ გვარივე არ არის ის ზემოთ მოყვანილი ორი სიტყვაც? მაგრამ მთა თუ შენთან არ მოვიდეს, შენ მიდი მასთანო. მივყვეთ ბ-ნ ნა—ლს და ვეთანხმოთ, რომ აზრი მართლა გამოცვლილია ერთ თვეს შემდეგ. მერე რაო? განა არ შეიძლებოდა იმ ერთი თვის განმავლობაში, რომ ბანკის საქმის გამწვავების გამო სხვა საკითხებიც ზედ წამოდგებოდა და ბანკს პირვანდელი თავისი ხასიათი დაკარგოდა? აქ

ბევრ ლაპარაკს არ დავიწყებთ, მაგრამ ბ-ნ ნა—ლმა ჩაიხედოს თავის გულში...

მესამე საბუთი: ბ-ნი აკაკი -ს ერთი ხანია წინასწარმეტყველობას ჩემობსო და სულ თავისთავზე ლაპარაკობს. .

აქ მიუხვედრელობა ბ-ნ ნა—ლის მხრით არაფერ შუაშია. მხოლოდ პირდაპირ ბანზე სიტყვის აგდებაა და განზრახული ხრიკები. ბ-ნო ნა—ლო, ჩვენთვის დაფარული აღარ არის, რომ ეს ოცდაათი წელიწადია მითქმა-მოთქმით, ცილისწამებით და უსამართლო დევნით თქვენ და თქვენისთანაები სიცოცხლეს უჭირვებთ აკაკის. სად შეუძლია, რომ ყოველგან დაესწროს, ის თქვენი სიტყვები ამტყუნოს. ახლა, როდესაც იმავე კადნიერებით და სიმართლის მოყვარეობით სტამბითაც ეხებით, ნუ თუ გნებავსთ, რომ დადუმდეს და შეიწამოს თქვენმიერ ის, რაც არ არის? თქვენ საპასუხოთ, თქვენ სიტყვის მოსაჭრელათ იმან გიპასუხათ: არა, ბატონებო, დღეს პირველი არ არის თქვენგან ჩემზე ასე მოდგომაო. არ გახსოვთ, რომ ამა-და-ამ დროს ჩემ გამოთქმულ აზრს კიჟინას აყრიდით და შემდეგ რამდენიმე წლისა კი იგივე აზრი თქვენვე გამოთქვით, თითქო ახალი რამე ყოფილიყოსო. ამისთანა მაგალითები ბევრი მოგაგონათ, ურყეველი საბუთები წინ დაგიყენათ და თქვენ მის ნაცვლათ, რომ ბოდიში მოგეხადათ მის წინაშე, გადაატრიალეთ მისი საბუთები და იძახით: აი, ბატონო, თავისთავს წინასწარმეტყველს ეძახისო. ცდილობთ, რომ ის დამნაშავეთა სკამზე დასვათ და როდესაც ის თავს მართლულობს, თქვენ მის ნაცვლათ, რომ შეიკმიდოთ, გაიძახით: აი, ბატონო, სულ თავისთავზე ლაპარაკობსო. არა, ბ-ნო ნა-ლო, დაძველდა ეგ ხრიკები, ქვეყანა წინ მიდის აკაკიმაც რომ არ აგვიხსნას, უმისოთაც ვხედავთ, თუ რა ახელმძღვანელებს ზოგიერთ ჩვენ ვითამ-და საზოგადო მოღვაწეებს. აბა, დაიდევით გულზე ხელი და გვითხარით: ბანკი რომ საქველმოქმედო საქმე იყოს და უსასყიდლო შრომას მოითხოვდეს, მოგეჩვენებოდათ მაგისთანა დიდებულ რამეთ და დაიწყებდით თავის ხეთქას? ნუ თუ ყურადღების ღირსი არ არიან „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, გამომცემელთა ამხანაგობა“, სამეურნეო საზოგადოება“ და სხვანი და სხვანი?.. რით აეხსნათ, რომ პედაგოგი თავის სპეციალურ საგანს მიურბის, აგრონომი მეურნეობაზე იღებს ხელს, ლიტერატორი კალამს იმსუბუქებს და ყველას ბანკისკენ უჭირავს თვალი. აი, რამ უნდა დააფიქროს დღეს ქართველი და რა უნდა საჯოს სასტიკათ. თქვენ კი გამოსულხართ და იძახით: ვალდებულნი ვართ საშვილიშვილოთ ჩრდილი მივაყენოთ აკაკი წერეთლის სახელს და საქვეყნოთ აღვიაროთ მისი დანაშაულობაო. მაგრამ ვინ მოგცათ ამის უფლება და სიმართლე? თქვენ შეგიძლიათ დღეს კიდეც აწამოთ, ნათქვამია, „ძალა აღმართსა ხნავსო“. ისტორიია ცოტა მაგალითს არ გვიჩვენებს, რომ, არა თუ ამ ჩვენ პატარა ქვეყანაში აკაკისთანა პაწია მოღვაწე, არამედ უფრო დიდ ქვეყნებშიდაც, მსოფლიო მოღვაწეები უწამებიათ, ჯვარს უცვიათ, უდევნიათ ® ზოგჯერ კიდევაც დაუწვავთ, მაგრამ ეს მათი განჩინება საშვილიშვილოთ აღარ დარჩენილა. პირიქით გამოფხიზლებულ შთამომავლობას თავისი სამარადისო მსჯავრი დაუდეიათ იმ თავ-გასულ ფარისევლებ-მტარვალებზე. ნუ თუ ეს თქვენ არ იცით, რომ აკაკი წერეთელზე და მის თანამოაზრეებზე განჩინებას ადგენთ და გგონიათ, საშვილიშვილო იქნება? არა, ბატონებო! ვინ მოგცემსთ ნებას, თქვენვე გამოსჭრათ და თქვენვე შეკეროთ? საშვილიშვილო მსჯავრი დღევანდელ-ების შესახებ მომავალ დგმას, მომავალ თაობას ეკუთვნის, იმ თაობას, რომელიც თქვენ და თქვენ თანამოაზრეებს ხან მესამე დასათ გებლანდებათ გრძნობა-გონებაში და ხან მეოთხეთ.

ს.კო მუხიანელი

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

## ქართული თეატრი

—

კვირას, 5 თებერვალს 1895 წ.
„ქართული წარმოდგენების მმართველი ამხანაგობის“
დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
ქ. საფაროვისა, ავალიშვ-ლისა და ბ-ნ აბაშიძის და ალექსეევ-მესხიევის მონაწილეობით საზოგადოების თხოვნით

I

# უბრალოთ დასჯილნი

კომედია 4 მოქ. ისტროვსკისა, თარ. მაჭავარიანისა

II

# გულმა იგრძნო

კომ. 4 მოქ.

მონაწილეობას ღებულობენ: საფაროვისა ავალოვისა, ჩერქეზიშვილისა, მაქსიმიძისა გამყრელიძისა ტარიე ოვისა და სხ. ბ-ნნი ალექსეევ-მესხიევი აბაშიძე, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, მარჯანოვი, ადამიძე, გუნია და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

შეგირდებისათვის ადგილები ლოჟებს უკან 65 კ.

დასაწყისი სწორეთ 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენათ: ორი დარაჯი დრ. 3 მოქ. და მუშაკი და ნებიერი დრ. 4 მოქ.

რეჟისორი
ვლ. ალ.-მესხიშვილი

ადმინისტრატორი
ვალ. გუნია

Доз. ценз. Тифлисъ, 4-го Февраля 1895 г., §, სტამბა მ. დ. როტინიანცისა © Тип. М. Д. Ротиніанца, Гол. пр., д. № 41.